ქრონიკა. ინფორმაცია.

თბილისში საშობაო ალილოს მსვლელობა ჩატარდა

ა.წ. 7 იანვარს შობის დღესასწაულთან დაკავშირებით თბილისში „ალილოობა" მოეწყო. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მსვლელობის მონაწილეებს საპატრიარქოსთან შეხვდა, დალოცა ისინი და საჩუქრები გადასცა.

ძღვენი, რომელიც გზადაგზა შეგროვდა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებსა და საპატიმროებში გაიგზავნება.

აღსანიშნავია, რომ ალილოს მსვლელობის ტრადიცია მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით აღდგა და ათ წელზე მეტია საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში ტარდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს 86 წელი შეუსრულდა

ა.წ. 4-5 იანვარს საქართველოს საპატრიარქოში საზეიმო მიღებები გაიმართა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დაბადების დღე მიულოცეს საქართველოს პრეზიდენტმა ქ-ნმა სალომე ზურაბიშვილმა, პრემიერ-მინისტრმა, ბ-ნმა მამუკა ბახტაძემ, პარლამენტის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ირაკლი კობახიძემ, პარლამენტარებმა, მეცნიერებმა, მწერლებმა და მრევლის წევრებმა.

სტუმრებმა მის უწმინდესობას ქვეყნისთვის გაწეული უდიდესი ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადეს და ჯანმრთელობა და დღეგრძელობა უსურვეს.

კათოლიკოს-პატრიარქმა დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა ყველას, დალოცა სრულიად საქართველო და ბრძანა: „პავლე მოციქულს ასეთი სიტყვები აქვს დაწერილი: ერთმანეთის სიმძიმე იტვირთეთ და ასე აღასრულეთ სჯული ქრისტესი. ძალიან ხშირი შემთხვევაა, როცა ჩვენ ერთმანეთის სიმძიმეს კი არ ვიტვირთავთ, არამედ ვამძიმებთ. დღევანდელი დღე და საღამო განსაკუთრებით არის ის საღამო, როცა თქვენ იტვირთეთ ჩემი სიმძიმე. მადლობელი ვარ თქვენი სიყვარულისათვის. 41 წელია მე ვემსახურები საქართველოს ეკლესიას და ვმადლობ უფალს და გმადლობთ თქვენ, ღვთის წყალობა და თქვენი სიყვარული რომ არ ყოფილიყო, ეს შეუძლებელი იქნებოდა. ჯვარი გეწეროთ."

დაჯილდოება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 30 დეკემბერს საკვირაო ქადაგებისას მეუფე დანიელს მიულოცა წმინდა დანიელ ნინასწარმეტყველის დღე და დააჯილდოვა სამღვდელოება:

დეკანოზი ირაკლი ახალაძე, გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, დაჯილდოვდა მიტრის ტარების უფლებით.

დეკანოზი გაბრიელი ლომაძე დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

მღვდელი ირაკლი წულაძე, აღიყვანეს დეკანოზის ხარისხში და დაჯილდოვდა გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით.

ილუმენია სარა ნათებაშვილი დაჯილდოვდა მეორე ჯვრის ტარების უფლებით.

მოლოცვა

საპატრიარქოს უწყებანს შეუსრულდა დაარსებიდან 20 წელი. შემოქმედებით გუნდს გილოცავთ ამ საიუბილეო თარიღს.

პატივისცემით ნუგზარ პაპიძე,
ჭიათურისა და საჩხერის
ეპარქიის მრევლის სახელით.

ლია სალაყაია საეკლესიო გალობის აღორძინების საქმეში განსაკუთრებული წვლილისთვის წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვდა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის იუბილის აღსანიშნავ მიღებაზე საქართველოში საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა **ქ-ნი ლია სალაყაია,** ამაგდარი ადამიანი, რომელიც უკვე 40 წელია მთელი ქვეყნის მასშტაბით მოგზაურობს, ასწავლის ქართულ საგალობლებსა და ხალხურ სიმღერებს.

„ჩვენ გვყავს ქალბატონი, რომელსაც ფეხით მოვლილი აქვს მთელი საქართველო და აი, ამ მოგზაურობის დროს, ორმოცი წელია, მოღვაწეობს და ასწავლის ქართულ საგალობლებს, ხალხურ სიმღერებს, კითხულობს ლექციებს და დღეს ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, საქართველოს ეკლესიის სახელით იგი დავაჯილდოვოთ უმაღლესი ჯილდოთი, წმინდა გიორგის ორდენით", – ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა.

სიტყვა სამადლობელი პარაკლისის დასრულების შემდეგ:

ჩვენთან არს ღმერთი!

დალოცვილი იყავით. ღმერთმა ინებოს, რომ ყოველივე ცუდი წავიდეს საქართველოდან და ახალმა წელმა სიხარული და ბედნიერება მოგვიტანოს.

ეხლა ჩვენ ვაჯილდოებთ ზოგიერთ სამღვდელო პირს:

იღუმენი ზენონი (დადვანი) დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით. აქსიოს!

დეკანოზი ნიკოლოზ მუსერიძე — დაჯილდოებულია გამშვენებული ჯვრის ტარების უფლებით. აქსიოს!

მღვდელმონაზონი ანდრია (ორმოცაძე) — აღყვანილია იღუმენის ხარისხში და დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით. აქსიოს!

მღვდელი ბენედიქტე გოლუბიანი — დაჯილდოებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. აქსიოს!

მღვდელი აკაკი ლიპარტელიანი — დაჯილდოებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. აქსიოს!

მღვდელი ალექსანდრე აკოფიანი — დაჯილდოებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. აქსიოს!

მღვდელი ექვთიმე კურდღელია — დაჯილდოებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. აქსიოს!

მღვდელი გიორგი ჩიქოვანი— დაჯილდოებულია ოქროს ჯვრის ტარების უფლებით და აღყვანილია დეკანოზის ხარისხში. აქსიოს!

გილოცავთ ახალ წელს! ინებოს უფალმა, რომ მშვიდობა, სიხარული, სიყვარული სუფევდეს თქვენს გულში, თქვენს გონებაში, თქვენს სულსა და თქვენს ოჯახებში.

ხვალ, 12:00 საათზე, აქ, წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში, შესრულდება საახალწლო პარაკლისი.

დაგლოცოთ ღმერთმა!

ჩვენთან არს ღმერთი!

ქრონიკა. ინფორმაცია.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება 15.01.2019

როგორც ცნობილია, ჯვრის მონასტერთან დაკავშირებით ამჟამად შექმნილი ვითარება გარე-მოვაჭრეების საქმიანობის მოწესრიგებისათვის გადადგმული ნაბიჯია. არასახარბიელო მდგომარეობაა სულიერ-კულტურული მნიშვნელობის სხვა ძეგლებთანაც.

ჩვენ გვესმის, რომ ხალხს უჭირს და ლუკმა-პურის საშოვნელად სხვადასხვა საშუალებას მიმართავს, მაგრამ როდესაც ამდენი ტურისტი და მომლოცველი ჰყავს ქვეყანას უხერხულია, ეს ტაძრები თავისი დიდებულებით გვიყურებდნენ წარსულიდან და XXI საუკუნის საქართველო კი მათ გვერდით მიუღებელი და მოუწესრიგებელი სახით იყოს წარმოჩენილი.

საქართველოს საპატრიარქო მიმართავს ხელისუფლებას, და, პირველ რიგში, კულტურის სამინისტროს, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას, რათა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიებზე ცივილური სახე მიეცეს გარე-მოვაჭრეთა საქმიანობას.

მოლოცვა

სვანეთის წმინდა სალოცავების მადლი შეენიოთ გაზეთ „საპატრიარქოს უწყებანის" დაუშრეტელი ენერგიით სავსე კოლექტივს, ვისაც ადამიანთა სულში, გულსა და გონებაში შემოგაქვთ ღვთიური სინათლე, სიმშვიდე, რწმენა და სიყვარული.

გილოცავთ გაზეთის გამოცემიდან უბრწყინვალეს ოცი წლისთავს, იყავით დალოცვილი თქვენ და თქვენი ოჯახები.

სვანეთიდან ზურაბ ბაკურაძის ოჯახი

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ ტაბაროკის მამათა მონასტრის **იღუმენ არსენს და ბერ-დიაკონ იოანეს** (გალდავაძეებს) გარდაეცვალათ ძმა — **გიორგი გალდავაძე** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიონ ახლად შესვენებული **გიორგის** სული.

შესასრულებლად, ეძლევა ბილეთი შვიდი თემით (ძველი და ახალი აღთქმიდან), რომლის ჩაბარების ბოლო ვადაა 2019 წლის 6 მაისი.

II ტური - სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე 2019 წლის 16 მაისს მოეწყობა ხატვის დღე: I ტურში გადასული კონკურსანტები შეასრულებენ თითო ნახატს ბიბლიურ თემებზე.

III ტური - კონკურსანტს კვლავ ეძლევა, საშინაო დავალების სახით, მეორე ბილეთი შვიდი თემით (ძველი და ახალი აღთქმიდან), რომლის ჩაბარების ბოლო ვადაა 2019 წლის 15 ნოემბერი.

მესამე ტურის ბოლოს სპეციალური ჟიური გამოავლენს საუკეთესო ნამუშევრებს.

2019 წლის ბოლოს მოეწყობა გამოფენა-დაჯილდოების ცერემონიალი. გამოვლინდებიან სამ ასაკობრივ ჯგუფში I, II, III ადგილის მფლობელები. საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა მოეწყობა სამების საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე, ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცემა სპეციალური სიგელი კონკურსში მონაწილეობისათვის. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებით და სასაჩუქრე ვაუჩერებით.

კონკურსის დებულება იხილეთ ვებ-გვერდზე www.axalgazrdoba.ge

განაცხადებები მიიღება საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში ყოველ დღე 11- დან 18 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე: 595 90 52 58 . E-mail: naxatebiskonkursi@gmail.com

ახალგაზრდული ცენტრის მისამართი: ელიას მთა. წმ. სამების საკათედრო ტაძარი. I სართული.

განცხადება

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი, განათლების და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, აცხადებს განაცხადების მიღებას ინტელექტუალური კონკურსის „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ **სტუდენტური ლიგის 2019 წლის სეზონისათვის.**

განაცხადებები მიიღება 2019 წლის 15 მარტის ჩათვლით, სამუშაო დღეებში (ორშაბათი — პარასკევი), 11.00 დან — 18.00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ელიას მთა. წმ. სამების საკათედრო ტაძარი. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი. e-mail: bibliiskonkursi@gmail.com

იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციამ წარმატებით ჩაიარა, თქვენ მიიღებთ სარეგისტრაციო ნომერს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუკავშირდით კონკურსის კოორდინატორს, ქვემოთ მითითებულ საკონტაქტო ნომერზე.

კოორდინატორი: ლელა ბოჭორიშვილი 599 24 88 56, 579 33 19 13

* * *

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი ითვალისწინებს სკოლის პედაგოგებისგან არაერთხელ შემოსულ თხოვნას, კონკურსის - „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ პედაგოგთა შორის გამართვის თაობაზე.

ვაკმაყოფილებთ მათ თხოვნებს და ვაცხადებთ განაცხადების მიღებას კონკურსის - „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“ - პედაგოგთა ლიგისთვის.

განაცხადები მიიღება 2019 წლის 25 თებერვლის ჩათვლით, სამუშაო დღეებში (ორშაბათი — პარასკევი), 11.00 დან — 18.00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ელიას მთა. წმ. სამების საკათედრო ტაძარი. საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი. E-mail: bibliiskonkursi@gmail.com

დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 599 24 88 56 ; 579 33 19 13

ლელა ბოჭორიშვილი - კოორდინატორი

დაჯილდოება

15 თებერვალს სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და დეკანოზის წოდება მიანიჭა იმავე ტაძრის მღვდელმსახურს **მღვდელ გიორგი ნადარეიშვილს.**

ხელდასხმა

17 თებერვალს ზესტაფონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ლაზარე ჭიჭინაძეს.**

***

17 თებერვალს ზარიძეების წმ. გიორგის სახელობის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარე-

სის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა მიქაელმა (გაბრიჭიძე) მღვდლად დაასხა ხელი სიონის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძრის **დიაკონ რომანოზ გამცემლიძეს.**

მღვდელი რომანოზი სანზონაში, წმ. პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარში იმსახურებს.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პატრიარქის მთავარი სტიქაროსანი **ლევან ბორტიშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **ლევანის** სული.

შეცდომის გასწორება

„საპატრიარქოს უწყებანის" წინა ნომერში, მე-8 გვერდზე ფოტოზე ნაცვლად წარწერისა „ზაქათალის ინტერიერი" უნდა ეწეროს „ზაქათალის ტაძრის ინტერიერი".

უძღები შვილის კვირა

ჩვენ ახლა უფროსი ძის სახარებისეული ხატის წინ ვდგავართ

მერმე იტყოდა და თქუა: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე. და ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თჳსსა: მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკჳდრებელისაჲ. და განუყო მათ საცხორებელი იგი. და შემდგომად არა მრავალთა დღეთა შეიკრიბა ყოველი უმრწემესმან მან ძემან და წარვიდა შორსა სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ცხოვნდებოდა იგი არაწმიდებით. და ვითარცა წარაგო მან ყოველივე მისი, იყო სიყმილი ძლიერი მას სოფელსა, და იწყო მან მოკლებად. და მივიდა და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ხოლო მან წარავლინა იგი ველად თჳსა ძოვნად ღორთა. და გული ეტყოდა განძღებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა ჭამედ ღორნი, და არავინ სცის მას. და მოეგო რაჲ თავსა თჳსსა, თქუა: რაოდენთა სასყიდლით-დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები. აღვდგე და წარვიდე მამისა ჩემისა და ვჰრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მამართ და წინაშე შენსა, და არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკთაგანი. და აღდგა და მოვიდა იგი მამისა თჳსისა. და ვიდრე შორსღა იყო, იხილა იგი მამამან მისმან და შეეწყალა. და მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა და ამბორს-უყოფდა მას. და ჰრქუა მას ძემან მან: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა. ჰრქუა მამამან მისმან მონათა თჳსთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცუთ ბეჭედი ჴელსა მისსა და ჴამლნი ფერჴთა მისთა. და მოიბთ ზუარაკი იგი ჭამებული და დაკალთ, და ვჭამოთ და ვიხარებდეთ, რამეთუ ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა. და იწყეს განცხრომად. და იყო ძე იგი მისი უხუცესი ველსა გარე. და ვითარცა მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, ესმა ჴმაჲ სიხარულისაჲ და განცხრომისაჲ. და მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რაჲ არს ესე? ხოლო მან ჰრქუა მას, რამეთუ: ძმაჲ შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული, რამეთუ ცოცხლებით მოვიდა იგი. ხოლო იგი განრისხნა და არა უნდა შინა შესლვად. ხოლო მამაჲ მისი გამოვიდა ჰლოცვიდა მას. და მან მიუგო და ჰრქუა მამასა თჳსსა: აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არასადა მცნებასა შენსა გარდავჰჴედ, და არასადა მომეც ერთი თიკანი, რაჲთამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე. და ოდეს ძე ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჭამა საცხორებელი შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას ზუარაკი იგი ჭამებული. ხოლო მან ჰრქუა მას: შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ჩემი ყოველი შენი არს. ხოლო აწ მხიარულებაჲ და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა (ლუკ. XV, 11-32).

ყოველ საეკლესიო წელს ვიხსენებთ იგავებს „უძღები შვილისა" და „მეზვერისა და ფარისევლის" შესახებ და ყოველ ჯერზე (წარმოსახვით და არა რეალურ ცხოვრებაში), ცოდვილი ადამიანი, რომელიც ღმერთთან დასაბრუნებელ გზას პოულობს — ხშირად მიგვიმსგავსებია მეზვერეს, სრული სინანულით რომ დგას ეკლესიის კართან და ცოდვის შეგრძნება ტაძარში ფეხის შედგმის საშუალებას არ აძლევს; დაგვიკავშირებია იგი უძღებ შვილთან, რომელიც, მიუხედავად თავისი უგრძნობელობისა, სისასტიკისა, მაინც პოულობს შინისკენ მიმავალ გზას. მაგრამ რა იშვიათად ვხე-

ქრონიკა. ინფორმაცია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ირანელთა დელეგაცია მიიღო

ა.წ. 4 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად ალ-მუსტაფას საერთაშორისო (სასულიერო) უნივერსიტეტის რექტორი, ალი აბასი, ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, ბ-ნი სეიედ ჯავად ყავამ შაჰიდი და მათი თანმხლები პირები მიიღო.

შეხვედრაზე ისაუბრეს გახშირებულ ტერორისტულ აქტებსა და მსოფლიოში განვითარებულ მძიმე პროცესებზე, რომლებსაც, სამწუხაროდ,უდანაშაულო ადამიანები ეწირებიან.

დელეგაციის წევრებმა მის უწმინდესობას ირანის სულიერი ლიდერის, აიათოლა ჰამენეის მოკითხვა გადასცეს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ირანი დიდი კულტურის მქონეა და ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გაღრმავება დადებითი შედეგის მომტანი იქნება.

კანადის საპარლამენტო ცენტრის ხელმძღვანელის შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში

ა.წ. 5 მარტს საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) კანადის საპარლამენტო ცენტრის ხელმძღვანელს, ბ-ნ ჟან-პოლ რუზკოვსკის, კვლევითი და საპარტნიორო პროგრამების მიმართულების ხელმძღვანელს, ბ-ნ ივო ბალინოვს და საქართველოში კანადის ელჩს, ბ-ნი კრის კუტერს შეხვდა. მიღებას ესწრებოდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე) და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების ხელმძღვანელი, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე).

საუბარი შეეხო საქართველოს და კანადას შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და გამოითქვა თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი. სტუმრებმა გამოხატეს მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით და დაინტერესდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემებითა და მდგომარეობით. აღინიშნა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებს იშვიათად ეძლევათ შესვლისა და ღვთისმსახურების შესრულების შესაძლებლობა, რაც უნდა გამოსწორდეს.

შეხვედრის დასასრულს საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ სტუმრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და აქტიური თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის შეხვედრა საქართველოს საპატრიარქოში

ა.წ. 26 თებერვალს საქართველოს საპატრიარქოში შედგა შეხვედრა ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელს, ბატონ ერიკ ჰოგსა და საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარეს, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს (შარაშენიძე) შორის.

მხარეებმა ისაუბრეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა პრობლემებსა და საჭიროებებზე. აღინიშნა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახურებს იშვიათად ეძლევათ შესვლისა და ღვთისმსახურების შესრულების შესაძლებლობა, რაც უნდა გამოსწორდეს.

ბატონი ერიკ ჰოგი დაინტერესდა აღნიშნულ რეგიონებში არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობით, ასევე, გამოთქვა მზაობა, უფრო აქტიურად ჩაერთოს ე.წ. საზღვრის გადაკვეთის გამო დაკავებული პირების გათავისუფლების საქმეში.

ბერად აღკვეცა

15 თებერვალს სარკინეთის წმ. შიო მღვიმელის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (მცირე სქემა) ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებული წმ. იობ მრავალვნებულის სახელობის მამათა მონასტრის მორჩილი გაბრიელ კორძაია და სახელად პროხორე უწოდა (ხს. 25 თებერვალი, წმ. პროხორე ქართველი).

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი მწუხარებას გამოთქვამენ თვალსაჩინო ისტორიკოსის, საქართველო-კავკასიის ურთიერთობების ბრწყინვალე მკვლევარის - **ლეილა მარგოშვილის** გარდაცვალების გამო.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლადშესვენებული **ლეილას** სული.

ქრონიკა. ინფორმაცია.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

(22.03.2019)

გამოვხატავთ დიდ წუხილსა და შეშფოთებას ახალ ზელანდიაში მეჩეთზე განხორციელებული თავდასხმის გამო და გულითად თანაგრძნობას ვუცხადებთ ტერაქტის შედეგად გარდაცვლილთა და დაშავებულთა ოჯახებს, ახალი ზელანდიის ხალხსა და ხელისუფლებას, მუსლიმებს და, საერთოდ, ყველას, ვისთვისაც მიუღებელია ძალადობა და ექსტრემიზმი.

ვგმობთ ტერორიზმს, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი და აღვავლენთ ლოცვებს მშვიდობისათვის, რათა აღარასოდეს განმეორდეს მსგავსი ტრაგედია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ეწვია

ა.წ. 21 მარტს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად, აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი, ბ-ნი როს უილსონი და მისი მეუღლე ქ-ნი მარგო სქუაერი მიიღო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ისაუბრა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, ხაზი გაუსვა ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დაბრუნების აუცილებლობას და აშშ-ის მიერ საქართველოსთვის განეული თანადგომისთვის მადლიერება გამოხატა.

ბ-ნმა როს უილსონმა აღნიშნა, რომ დიდია მართლმადიდებელი ეკლესიის როლი საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მან მტკიცე პოზიცია დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ აშშ აქტიურად გააგრძელებს ამ მიმართულებით საქართველოს მხარდაჭერას.

შეხვედრის დასასრულს მისმა უწმინდესობამ ბ-ნ როს უილსონს და მის მეუღლეს სამახსოვრო საჩუქარი გადასცა და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოთქვა.

აღკვეცა

8 მარტს ურბნისის წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) ბერად აღკვეცა (დიდი სქემა) **ტარიელ ზურაშვილი** და სახელად **შიო** უწოდა (ხს. ყველიერის ხუთშაბათი).

ხელდასხმა

17 მარტს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი **დიაკონ ვიტალი ღვინიაშვილს.**

მღვდელი ვიტალი დადგენილია იმავე ტაძარში მწირველ მღვდლად.

სამძიმარი

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ **სამთავროს დედათა მონასტრის მონაზონ ნატალიას (ხათრიძე)** გარდაეცვალა მამა – ნუგზარ (მურმან) ხათრიაძე.

სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს და მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **ნუგზარის** სული.

სიახლე საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერიას" შესახებ

გაცნობებთ, რომ როგორც საქართველოში მცხოვრებთ, ისე უცხოეთში მყოფ ჩვენს თანამემამულეთ ამიერიდან მობილური ტელეფონის საშუალებით შესაძლებლობა ექნებათ, 24 საათის განმავლობაში მოუსმინონ საქართველოს საპატრიარქოს რადიო „ივერია"-105.5-ს.

მომსახურების უზრუნველყოფისათვის უნდა დაიცვათ მითითებული ინსტრუქცია და ანდროიდის სისტემის ტელეფონში ჩამოტვირთოთ შესაბამისი აპლიკაცია.

How to listen radio Iveria on Android Smartphone_GE_v5.1
How to listen radio Iveria on Android Smartphone_EN_v5.1
How to listen radio Iveria on Android Smartphone_RU_v5.1 (1)

„ბავშვის უფლებათა დაცვის კოდექსით" დასაშვები იქნება სქესობრივი აღზრდის გაკვეთილები

დეპუტატ სოფო კილაძის ინიციატივით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში შემუშავებული **„ბავშვთა უფლებათა კოდექსი"** 25 მარტს განსახილველად საპარლამენტო კომიტეტებს გადაეცა.

კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, აღნიშნული კოდექსი წარმოადგენს სახელმწიფოს ხედვას, კონკრეტული მექანიზმების საფუძველზე, თუ როგორ უნდა მოხდეს თითოეული ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

კომიტეტის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა გამჭვირვალედ და მასში მონაწილეობნენ სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი, ექსპერტები და სხვა დაინტერესებული პირები.

კეული პიროვნებების დღევანდელი კომენტარებიც ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

P.S. კადრში ჩანს ორივე პატრიარქის ფერწერული ტილო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თურქეთში მცხოვრები ქართველები მიიღო

ა.წ. 14 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თურქეთში, ქ. ინეგოლში მცხოვრები ქართველები მიიღო და დალოცა. მისმა უწმინდესობამ მათ სამშობლოში ჩამოსვლა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ისინი დაუბრუნდებიან საკუთარ კუთხეს. სტუმრებმა მიღებისთვის მადლობა გადაუხადეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და ანსამბლ „რირაშის" წევრებმა ფოლკლორული ნომრები შეასრულეს.

ქართველები ინეგოლში მუჰაჯირობის დროს, XIX საუკუნეში, აჭარიდან გადასახლდნენ და მიუხედავად ამისა, დღემდე ინარჩუნებენ ქართულ ენას, ტრადიციებსა და კულტურას.

მათი საქართველოში ჩამოყვანა ფონდ „ქართული გალობის" (დამფუძნებლები: ივანე ჩხარტიშვილი, ნანა გოთუა), ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (ხელმძღვანელი გიორგი დონაძე) და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის (რექტორი რევაზ კიკნაძე) ინიციატივითა და ხელშეწყობით განხორციელდა.

ინეგოლელი ქართველები 15 აპრილს რუსთაველის თეატრში კონცერტს გამართავენ.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ღონისძიება პირველად ტარდება და ამიერიდან ყოველწლიური სახე მიეცემა.

პატრიარქმა ზურაბ ყიფშიძის ოჯახი მიიღო

ა.წ. 15 აპრილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ზურაბ ყიფშიძის ოჯახი მიიღო და დალოცა.

ხელდასხმა

7 აპრილს ქარელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქარელის წმ. იობ მრავალვნებულის სახელობის მონასტრის **ბერ-დიაკონ გაბრიელს (ნინუა).**

***

13 აპრილს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებულ წმ. იობ მრავალვნებულის სახელობის მონასტრის **ბერ-დიაკონ ირინეოსს (შენგელია).**

***

14 აპრილს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქარელის სამღვდელმთავრო რეზიდენციასთან არსებულ წმ. იობ მრავალვნებულის სახელობის მონასტრის **ბერ-დიაკონ იერონიმეს (ქათამაძე).**

სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში მორიგი შეხვედრა გაიმართა

ა.წ. 11 აპრილს საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივითა და ორგანიზებით სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში მორიგი შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრაზე განხილულ იქნა თემა, – „გამოხატვის თავისუფლება საქართველოში". გამომსვლელებმა აღინიშნეს, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება მეტად მნიშვნელოვანი მონაპოვარია და აუცილებელია მისი დაცვა, მაგრამ ამავდროულად დაუშვებელია სიტყვის თავისუფლების სახელით ბილწსიტყვაობის, აგრესიის, შეურაცხყოფის და ცილისწამების გავრცელება, მით უმეტეს მასმედიით.

ღონისძიებას ესწრებოდნენ პარლამენტარები, კომუნიკაციების ეროვნული მარეგულირებელი კომისიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

ფონდი „გაამწვანე საქართველო" აგრძელებს გამწვანების ღონისძიებებს

გაზაფხულის დადგომასთან ერთად საქართველოს საპატრიარქოს ფონდი „გაამწვანე საქართველო" მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით აგრძელებს გამწვანების ღონისძიებებს. 15 აპრილს, მახათას მთაზე, ფონდის ორგანიზებითა და ხელშეწყობით ჭანტურიძეების საგვარეულო კავშირის ხელმძღვანელმა და წარმომადგენლებმა ზეთისხილის ხეები დარგეს.

ღონისძიების მონაწილეებმა ფონდ „გაამწვანე საქართველოს" აღმასრულებელ მდივანს, ბ-ნ გოჩა არონიშიძეს მადლობა გადაუხადეს, რომ მიეცათ შესაძლებლობა საკუთარი წვლილი შეეტანათ მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სავანის გამწვანებაში.

ფონდი „გაამწვანე საქართველო" გასული წლების მსგავსად წელსაც აქტიურად გააგრძელებს გამწვანების ღონისძიებებს როგორც თბილისში, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ღონისძი-

შეხვედრები დავით გარეჯის თემასთან დაკავშირებით

დავით გარეჯთან დაკავშირებით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, მიტროპოლიტი შიო (მუჯირი) ამიერკავკასიის მუსლიმთა სულიერი ლიდერის წარმომადგენელს ჩვენს ქვეყანაში ალი ალიევს და საქართველოში აზერბაიჯანის ელჩს, ბ-ნ დურსუნ ჰასანოვს შეხვდნენ.

შეხვედრებზე კიდევ ერთხელ განხილულ იქნა შექმნილი მდგომარეობა და ხაზი გაესვა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნების აუცილებლობას.

მიტროპოლიტმა შიომ ალი ალიევს და ელჩს საპატრიარქოს მიერ გაკეთებული განცხადება გააცნო და იმედი გამოთქვა, რომ პროცესები მშვიდობიანი გზით სამართლიანად გადაწყდება და ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდება.

გაამწვანე საქართველო

ა.წ. 7 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გამწვანების მასშტაბური ღონისძიება განხორციელდა. საპატრიარქოს ფონდ „გაამწვანე საქართველოს" (გამგეობის თავმჯდომარე გიორგი სვანიძე, აღმასრულებელი მდივანი გოჩა არონიშიძე) ორგანიზებითა და ხელშეწყობით ქალაქ თბილისის მერიასთან, კომპანია BDO-სთან და სხვა პარტნიორებთან ერთად ვარკეთილში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაირგო 2000 ელდარის ფიჭვი.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის მერი კახა კალაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი რევაზ სოხაძე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ხატია წილოსანი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლები, 15 უნივერსიტეტის და თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის სტუდენტები, ქართველი ჯარისკაცები და მრავალშვილიანი ოჯახები.

მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ფონდი „გაამწვანე საქართველო" მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს გამწვანების ღონისძიებებს.

ხელდასხმა

ამა წლის 21 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა, საჩხერის წმ. ნინოს საკათედრო ტაძარში მღვდლად დაასხა ხელი **დიაკვან ჯუანშერს (ფხალაძე)**.

მღვდელი ჯუანშერი იმავე ტაძარში იმსახურებს.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სქეარქიმანდრიტი საბა (ერისკაცობაში ქრისტო ტელიანიდი), ეროვნებით ბერძენი. მამა საბა დაიბადა სოხუმის რაიონის სოფელ მთისუბანში, 1924 წლის 15 დეკემბერს.

1949-60 წლებში, მეუღლესთან ერთად, გადასახლებაში იმყოფებოდა ყაზახეთში, სადაც 1945 წელს შეეძინა ასული, ხოლო 1952 წელს გარდაეცვალა მეუღლე.

1977 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით ქრისტო ტელიანიდი ბერად აღკვეცეს და სახელად დიმიტრი უწოდეს.

1978 წელს ბერ დიმიტრის მღვდლად დაასხეს ხელი და მსახურებისთვის წალკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურად დაადგინეს.

1980 წელს მღვდელ-მონაზონი დიმიტრი მსახურობდა თბილისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარში.

1981 წელს მამა დიმიტრი საპატრიარქოში სანთლის წარმოების საამქროს უძღვებოდა.

იმავე 1981 წელს მას ილუმენის წოდება მიანიჭეს და წალკის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაადგინეს.

2000 წელს, წალკის ტაძრის პარალელურად, არქიმანდრიტი დიმიტრი დაინიშნა შინაგანი ჯარების სამხედრო ნაწილის თბილისის წმინდა მიქაელ გობრონის სახელობის ტაძარში ღვთისმსახურების აღსასრულებლად.

უკანასკნელი წლები, მძიმე ავადმყოფობის გამო, მამა დიმიტრიმ თბილისში, ისნის რაიონის ტერიტორიაზე, კერძო სახლში გაატარა. ამ პერიოდში იგი აღკვეცეს დიდ სქემაში და სახელად საბა უწოდეს.

სქეარქიმანდრიტი საბა 2019 წლის 1 მაისს, გამთენიისას, გარდაიცვალა.

იგი დაასვენეს მახათას მთაზე ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტრის ტაძარში. 4 მაისს მამა საბა მახათას ლავრის ტერიტორიაზე დაკრძალეს.

შეგვეწიოს მისი ლოცვა და მკითხველს ვთხოვთ, მოიხსენიოს ლოცვებში ახლად შესვენებული **მამა საბა**.

და საქართველოს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდება.

მანამდე დავით გარეჯის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოში მორიგი შეხვედრები გაიმართა. ა.წ. 8 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად სრულიად საქართველოს შეიხი, რამინ იგიდოვი, აღმოსავლეთ საქართველოს მუფტი, იასინ ალიევი და ოქტაი ისაევი მიიღო.

სტუმართა მხრიდან აღინიშნა, რომ საუკუნეების განმავლობაში ჩვენს მშვიდობიან თანაცხოვრებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სტუმრების მიმართ პატივისცემა კიდევ ერთხელ დაადასტურა და იმედი გამოთქვა, რომ შექმნილი მდგომარეობა მშვიდობიანი გზით, სამართლიანად გადაწყდება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დიპლომატებს შეხვდა

ა.წ. 9 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მღვდელმთავრებმა და სამღვდელოებამ დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქ-ნი თამარ ბერუჩაშვილი და დიდ ბრიტანეთში აკრედიტირებული ევროპისა და ლათინო-ამერიკის ქვეყნების დიპლომატები მიიღეს.

ისინი ჩვენს ქვეყანას საქართველოს მეგობრების დიპლომატიური ტურის ფარგლებში ეწვივნენ.

ელჩებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიღებისთვის მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ დიდია ეკლესიისა და პირადად მისი უწმინდესობის როლი საქართველოს განვითარებაში. მათ ასევე ხაზი გაუსვეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემწყნარებლობას სხვადასხვა აღმსარებლობის მიმართ, რაც განსხვავებული მრწამსის მქონე ადამიანებს საშუალებას აძლევს მშვიდობიანად იცხოვრონ საქართველოში.

მისმა უწმინდესობამ ელჩებს საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათი ვიზიტი უკეთ გააცნობს დიპლომატებს საქართველოს და ჩვენი კავშირები კიდევ უფრო მეტად გამტკიცდება, რაც სასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნებისათვის.

კათოლიკოს-პატრიარქმა დიდი პატივისცემით გაიხსენა მისი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში და შეხვედრა დედოფალ ელისაბედ II-სთან.

ქ-ნმა თამარ ბერუჩაშვილმა ისაუბრა მისი უდიდებულესობა დედოფალ ელისაბედ II-ისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მეგობრული დამოკიდებულების შესახებ და აღნიშნა, რომ დედოფლის რჩეული საჩუქრების გამოფენაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ნაჩუქარი წმ. გიორგის ხატი ევროპის სექციაში პირველ ადგილზე იყო დაბრძანებული.

შეხვედრის დასასრულს მისმა უწმინდესობამ დალოცა სტუმრები და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.

სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

ა.წ. 8 მაისს საპატრიარქოში საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც ითვალისწინებს მახათას მთაზე ერთობლივი საგანმანათლებლო-სამუზეუმო სივრცის შექმნას.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბ-ნმა მამუკა ბახტაძემ და საზოგადოება „ივერიისას" თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი თავაძემ.

როგორც მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, ისე პრემიერ-მინისტრმა იმედი გამოთქვეს, რომ ახალი საგანმანათლებლო-სამუზეუმო ცენტრი მალე აშენდება და იგი დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი მომავალი თაობის სულიერ-ინტელექტუალურ აღზრდას.

ხელდასხმა

20 აპრილს, ლაზარეს შაბათს, ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) დიაკვნად დაასხა ხელი **გოჩა ლიპარტელიანს**.

დიაკონი გოჩა იმავე ტაძარში იმსახურებს.

* * *

21 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების საახელობის ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი) დიაკვნად დაასხა ხელი **ონისიმე მამარდაშვილს.**

დიაკონი ონისიმე იმავე ტაძარში იმსახურებს.

ქრონიკა. ინფორმაცია.

16 მაისს საყოველთაო ჯვრისწერის მორიგი ეტაპი ჩატარდა

ა.წ. 16 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და საპატრიარქოს ჩოხოსნების ორგანიზებით მთელი საქართველოს მასშტაბით საყოველთაო ჯვრისწერის მორიგი ეტაპი ჩატარდა.

დღეს ჯვრისწერის საიდუმლო 500-ზე მეტი წყვილისთვის შესრულდა, რომელთაც ოჯახი შექმნილი ჰქონდათ, მაგრამ ჯვარი არ ჰქონდათ დაწერილი. თბილისში, ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში კი ჯვარი 120-ზე მეტმა წყვილმა დაიწერა, რაც სამ ეტაპად განხორციელდა.

ვულოცავთ მათ ამ გამორჩეულ დღეს და ვუსურვებთ ოჯახების სიწმინდესა და სიმტკიცეს.

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება (15.05.2019)

ა.წ. 17 მაისს ოჯახის სიწმინდის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებით კვლავ შედგება სახალხო მსვლელობა რესპუბლიკის (ვარდების) მოედნიდან სამების საკათედრო ტაძრისკენ, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გადაიხდის პარაკლისს, დალოცავს ხალხს და სრულიად საქართველოს.

მსვლელობა დაიწყება 17:00 საათზე და დასრულდება კონცერტით, რომელიც პარაკლისის შემდეგ გაიმართება.

აღვნიშნავთ, რომ ეს ღონისძიება არის მშვიდობიანი და მას რაიმე სახის აგრესიასთან კავშირი არა აქვს, იგი არის ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერის გამოხატულება ტრადიციული ღირებულებებისადმი.

კიდევ ერთსაც შევნიშნავთ, რომ ეკლესია ემიჯნება ნებისმიერ ძალადობას, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ათენის უნივერსიტეტის პროფესორი და ქართველი სტუდენტები მიიღო

ა.წ. 10 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ათენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბ-ნი ხრისტოს კარაიანისი და ათენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის ქართველი სტუდენტები მიიღო.

პროფესორმა ხრისტოს კარაიანისმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და დამსწრეთ გააცნო მის მიერ გამოცემული წიგნი, რომელიც ეძღვნება იერუსალიმში, მაცხოვრის საფლავთან არსებულ საცავში აღმოჩენილ შეწირულობებს, რომელთა შორის არის ქართული გარდამოხსნები, მიტრები, ოლარები, საბუხარები და სხვა საღვთისმსახურო ნივთები. სტუმარმა ასევე ისაუბრა ქართველი სტუდენტების მაღალი აკადემიური მიღწევების შესახებ.

მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ პროფესორ ხრისტოს კარაიანისს მადლობა გადაუხადა ჩვენთვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი მასალების მოწოდებისთვის, დალოცა იგი და ქართველი სტუდენტები და მათ ეკლესიისთვის სასარგებლო მოღვაწეობა უსურვა.

ხელდასხმა

20 აპრილს წმ. ლაზარეს აღდგინების სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ქოზიფას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ ისაიას (დარახველიძე)**.

***

21 აპრილს ქარელის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საკათედრო ტაძარში მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) მღვდლად დაასხა ხელი ზემო შუანოს წმ. დავით და ლუკიანე გარეჯელთა სახელობის მამათა მონასტრის **ბერ-დიაკონ ისააკს (ჩიტაძე)** და აბუხალოს წმ. დავით გარეჯელის მამათა მონასტრის წინამძღვრად დაადგინა.

აღკვეცა

20 აპრილს ტბეთის წმ. გაბრიელ მთავარანგელოზის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარმა, იღუმენმა იოსებმა (მაჩაიძე) იმავე მონასტრის **მორჩილი თომა მუზიკა** ბერად აღკვეცა (მცირე სქემა) და სახელად **თეოფანე** უწოდა (ხს. 23 იანვარი).

***

21 აპრილს ყინწვისის წმ. კეთილგონიერი ავაზაკის სახელობის მამათა მონასტრის (ხევისბერი) **ბერი ნეოფიტე (დაშნიანი)** მროველ-ურბნელმა მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი) იმავე

სახელობის ტაძარში ბერად აღკვეცა (დიდი სქემა) და სახელად **ნეოფიტე** უწოდა (ხს. 3 თებერვალი).

საქართველოს საპატრიარქოს ფონდ „გაამწვანე საქართველოს“ ორგანიზებით ირინე ენუქიძის სახლთან გამწვანების ღონისძიება ჩატარდა

ა.წ. 16 მაისს საქართველოს საპატრიარქოს ფონდ „გაამწვანე საქართველოს“ (აღმასრულებელი მდივანი გოჩა არონიშიძე) ორგანიზებით ქალბატონ ირინე ენუქიძის სახლთან გამწვანების ღონისძიება ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ოჯახის ახლობლებმა, მეგობრებმა, ფონდის პარტნიორებმა, – შპს. „მწვანე სახლმა“ (დირექტორი მირიან მდივანი) და „ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ“ (ხელმძღვანელი რეზო ბეჟაშვილი).

ირინე ენუქიძე იყო სამაგალითო ადამიანი, ღირსეული დედა და მეუღლე. იგი, როგორც სამართლიანობისთვის თავგანწირვით მებრძოლი დედა, გარდაცვალების შემდეგ თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა.

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ქალბატონ ირინე ენუქიძის მიმართ პატივისცემის ნიშნად და მიეძღვნა ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დაცვის დღეს.

რატომ დუმან დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები?

დეკანოზ გიორგი მამალაძის გარშემო შექმნილმა ვითარებამ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი დაძაბულობა შექმნა. დღემდე საპატრიარქოს წინ გაშლილია კარავი, რომელზეც დეკანოზის ფოტოსთან ერთად გაკრულია მოთხოვნა: „ზიარება საკურნებლად სულისა და ხორცისა!“,მიუხედავად იმისა, რომ დეკანოზი ჯერ კიდევ თებერვლის თვეში ღუდუშაურის კლინიკაში ყოფნისას მამა ნიკოლოზ გიგატაძემ აზიარა, კარავი არავის აუშლია.

თებერვალშივე ცნობილი გახდა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად დაუმძიმდა. 7 მარტს სახალხო დამცველმა მისი მდგომარეობის შესაფასებლად დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი ჩართო, მათი დასკვნით დეკანოზის მძიმე მდგომარეობა გადაუდებლად საჭიროებდა სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანას, აქედან გამომდინარე, სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულების უწყებას კონკრეტული რეკომენდაციით მიმართა. თუმცა პენიტენციალურმა დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია არ შეასრულა, არც სახალხო დამცველს გაუმეორებია თავისი მოთხოვნა. საპატრიარქომ სცადა, გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში, ამიტომ წერილები გაუგზავნა ორივე მხარეს თხოვნით, მოეწოდებინათ ინფორმაცია შექმნილ მდგომარეობაზე.

როგორც გაირკვა, სახალხო დამცველის აპარატს სასჯელაღსრულების უწყებამ საპასუხოდ გადაუგზავნა მასალები, რომელთა საფუძველზეც სახალხო დამცველმა საკუთარი რეკომენდაცია გააუქმა. იმავდროულად, ეს მასალები გადაეცა დაცვის მხარესაც. ადვოკატებმა იცოდნენ, რომ საპატრიარქოს ტყუილად სდებდნენ ბრალს, რომ ექსპერტთა დასკვნა არ იყო რეალობის შესაბამისი, მაგრამ ამ პერიოდში კვლავ აგრძელებდნენ საპატრიარქოს დადანაშაულებას დეკანოზის ავადმყოფობის გაუთვალისწინებლობაში.

მეორე მხრივ, საინტერესოა, რა მასალები გადაუგზავნა სასჯელაღსრულებამ სახალხო დამცველს. დეკანოზი მე-18 დაწესებულებაში 24-საათიანი დაკვირვების ქვეშ იმყოფება და შესაძლოა, ეს იყოს ფირები, რომელზედაც ჩანს, რომ დეკანოზს არ აქვს პარალიზებული კიდურები, რის შესახებაც ამდენი ხნის განმავლობაში საუბრობდა მისი დაცვის მხარე.

საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრმა მიმართა როგორც საქართველოს სახალხო დამცველს, ასევე საქართველოს იუსტიციის მინისტრს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ აქვეყნებს იმ მიმოწერას.

მრევლთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შვეიცარიის ელჩს შეხვდა

ა.წ. 23 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბ-ნი პატრიკ ფრანცენი მიიღო.

კათოლიკოს-პატრიარქმა ელჩს საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია და დარღვეულია ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. მან ამასთან კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტის იმედი გამოთქვა და ისაუბრა სახალხო დიპლომატიის დადებით მხარეებზე და მისი გაძლიერების აუცილებლობაზე.

მისმა უწმინდესობამ გამოთქვა სურვილი, რომ მოსახლეობას და, მათ შორის, სასულიერო პირებს ე.წ. საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა მიეცეთ, რაც ხელს შეუწყობს ხალხის დაახლოებას და კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

შვეიცარიის ელჩმა კათოლიკოს-პატრიარქს მიღებისთვის და საინტერესო იდეების გაზიარებისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია საქართველოს უძველესი მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურთან შეხვედრა და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვან საკითხებზე საუბარი. ბ-ნ პატრიკ ფრანცენის თქმით, შვეიცარია საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, რომელთანაც სიახლოვეს გრძნობს და მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მის მხარდაჭერას.

ელჩმა მის უწმინდესობას საჩუქრად გადასცა წიგნი, რომელიც სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს საქართველოსა და შვეიცარიის მსგავსებებს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის მარშალს შეხვდა

ა.წ. 21 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის მარშალი, ბ-ნი სტანისლავ კარჩევსკი, სენატის წევრები და დელეგაციის სხვა წევრები მიიღო.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს, ასევე იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ჩვენი ქვეყნები და მსოფლიო დგას.

ბ-ნმა სტანისლავ კარჩევსკიმ ისაუბრა ქვეყანაში ქრისტიანობის გავლენაზე და აქედან გამომდინარე, ოჯახის როლზე. აღნიშნა, რომ ამ კუთხით პოლონეთსა და საქართველოს ბევრი საერთო აქვთ და რომ პოლონეთიც მხარს უჭერს ტრადიციულ და მტკიცე ოჯახს.

მანვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გააცნო პოლონეთში მოქმედი სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს შობადობის ზრდას.

პოლონეთის პარლამენტის თავმჯდომარემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე წინასწარ მიულოცა და დასძინა, რომ 26 მაისს პოლონეთში აღინიშნება დედის დღე. „ჩვენთვის, ისევე როგორც ქართველებისთვის, დედა განსაკუთრებით პატივსაცემი და ძვირფასია. იგი გვახსენებს დედა ღვთისმშობელს."

მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ პოლონეთის რესპუბლიკის სეიმის მარშალს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და დაეთანხმა სტუმარს, რომ თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრადიციული ოჯახის მხარდაჭერას და ქრისტიანული ღირებულებების გაძლიერებას.

კათოლიკოს-პატრიარქმა შეხვედრის დასასრულს სტუმრებს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა, სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და წარმატებული მოღვაწეობა უსურვა.

ხელდასხმა

17 აპრილს ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში, ლასურიაშის ღვთისმშობლის შობის სახელობის დედათა მონასტერში, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ (კალაიჯიშვილი), მონაზვნად აღკვეცა მორჩილი **ნინო ნაკაშიძე,** რომელსაც სახელად მონაზონი ბარბარე ეწოდა.

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია 2019-2020 წლისთვის აცხადებს მიღებას დოქტორანტურაში შემდეგ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- ბიბლეისტიკა:
  მოდული ა) ძველი აღთქმა
  მოდული ბ) ახალი აღთქმა
- ეკლესიის ისტორია

ხელდასხმა

13 ოქტომბერს ცაგერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ მღვდლად აკურთხა დიაკონი გიორგი (მამარდაშვილი).

***

21 სექტემბერს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) დიაკვნად აკურთხა **ბერი იოანე (ვარდუკიძე).**

ბერ-დიაკონი იოანე ვაზიანის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. მამათა მონასტერში იმსახურებს.

***

29 სექტემბერს გარდაბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახ. საკათედრო ტაძარში გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ (შომახია) დიაკვნად აკურთხა **ბერი იაკობი (სირდაძე).**

ბერ-დიაკონი იაკობი ვაზიანის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. მამათა მონასტერში იმსახურებს.

დაჯილდოება

ა. წ. 9 ივნისს, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძრის კურთხევის დღეს, სრულიად საქართველოს კაოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ დააჯილდოვა სანზონის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის მღვდელმსახურნი: დეკანოზი გიორგი მეშვილდიშვილი და დეკანოზი დავით აფციაური — გამშვენებული ჯვრით, თემქის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღდელი გიორგი ხუბაშვილი — ოქროს ჯვრით და დეკანოზის ხარისხით.

***

16 ივნისს, სულთმოფენობის დღესასწაულზე, ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა იაკობმა დააჯილდოვა შემდეგი მღვდელმსახურნი:

სანზონის წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძრის წინამძღვარი მღვდელი იოსებ ჩორგოლაშვილი — ოქროს ჯვრითა და დეკანოზის წოდებით;

ბოდბის ეპარქიის მღვდელმსახურებს, იღუმენ გრიგოლს (ქოჩიაშვილი) და იღუმენ პავლეს (ქებულაძე) მიანიჭა არქიმადრიტის წოდება და მიტრით დააჯილდოვა;

წმინდა ნინოს ახალი საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მადგილე, იღუმენი პიროსი (ქემაშვილი) დააჯილდოვა გამშვენებული ჯვრით,

იღუმენი იოსებ ალასანია — გამშვენებული ჯვრით,

დეკანოზი ზურაბი ხოველიშვილი — გამშვენებული ჯვრით,

დეკანოზი ზოსიმე ნაფეტვარიძე — გამშვენებული ჯვრით.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლს (ბერბიჭაშვილს)

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,

მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა დედის გარდაცვალების გამო, აღვავლენთ ლოცვებს ქ-ნ ნათელას უკვდავი სულისათვის და შევთხოვთ უფალს, სავანესა მართალთასა დააწესოს იგი.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

***

გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი" უერთდება სამძიმარს და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის დედის ნათელა (ფოტინე) ბერბიჭაშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახალშესვენებული **ნათელა - ფოტინეს** სული.

ბატონ მიხეილ კობახიძის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს!

ფრიად ვწუხვართ, რომ წავიდა ჩვენგან დიდი ხელოვანი და გამორჩეული ადამიანი, - მიხეილ კობახიძე. რეალობასთან შეუგუებელი მისი სული და, ამავე დროს, სიყვარულით სავსე გული ქმნიდა შედევრებს, რომელიც მიუხედავად ასაკისა, ყველა დროის ადამიანისთვის გასაგები და ახლობელია.

აღვავლენთ ლოცვებს მისი უკვდავი სულისთვის, რათა უფალმან საყოფელსა მართალთასა დაანესოს იგი, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ მშვიდობა.

პატივისცემით,

ილია I
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
17.10.2019

და იქ მცხოვრებ პირთა სოციალური მდგომარეობა. დასასრულს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) მასპინძლებს წმინდა გიორგის ხატები უსახსოვრა.

ხელდასხმა

21 სექტემბერს ყინწვისის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში მროველ-ურბნელმა **მიტროპოლიტმა იობმა (აქიაშვილი)** დიაკვნად აკურთხა ქარმელის წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის მამათა მონასტრის ბერი **გრიგოლი (კაპანე)**.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი

წმინდანად შერაცხილ მამა სევერიანეს ძმას, სქიარქიმანდრიტ სისოს (ბერიძე) უდიდესი წვლილი მიუძღვის აჭარაში ქრისტიანობის აღორძინებაში და მამა–პაპის ჭეშმარიტ რჯულზე მოსახლეობის დაბრუნებაში. ჯერ კიდევ ათეისტურ პერიოდში მის ცხოვრებაში მოხდა უდიდესი გარდატეხა და იგი, ძმასთან ერთად, იქცა მართლმადიდებლობის მეციხოვნედ ამ მხარეში. მამა სისოს სახელს ასევე უკავშირდება ხულოს სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელობა და არაერთი ტაძრის აგება.

მჯერა, მისი უკვდავი სული სავანესა მართალთასა დაიმკვიდრებს და მისი ლოცვა შეეწევა საქართველოს.

ღმერთმა დალოცოს მამა სევერიანე და მამა სისო;
ღმერთმა დალოცოს მათი შთამომავალნი.

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
24.10.2019 წ.

ტაძრის კურთხევა

2 ნოემბერს მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ აკურთხა სარფის წმ. ეგნატე ღმერთმეძიებელის სახელობის ტაძარი ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად.

წერილი პატრიარქს!

ჩვენი უძვირფასესი უწმინდესი...

დავიხშოთ სმენა, დავხუჭოთ თვალები, გამოვეთიშოთ ირგვლივ ყველაფერს, გავემიჯნოთ ყველა ერთობას, ყველაფერ იმას, რაშიც ვცხოვრობთ და რაშიც ვარსებობთ. გულის სიღრმისკენ მივმართოთ მზერა და გავაჩეროთ ყველა აზრი და ყველა სურვილი. შევიგრძნოთ გულის უფსკრულთა იდუმალება. აქ, გულის სიღრმეში, „მოჟონავს სისხლი", აქ ადამიანური არსის სისავსე სულ სხვაგვარად განიცდება, სიკვდილ-სიცოცხლეს რომ აერთიანებს და მის მიღმა მიდის. აქ ერთადაა უცხო და ჩვენი, შორეული და მახლობელი, საშიში და ძვირფასი, ხელშეუხებელი და ხელშესახები; აქ იკარგება ასაკისა და სქესის შეგრძნება; ზედმეტი ხდება ყოველგვარი შეხება, რადგან ყოველივე ჩვენსავე წიაღში განიცდება. აქ ახლოს ხარ იმ წამთან, რომელიც უნდა გაჩერდეს, როცა გაჩერდება გულისცემა, გაჩერდება მზე და ვიხილავთ იმას, რასაც ვერ ვხედავთ დღეს. აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი გამოცდილება ამგვარი გაჩერება... უნდა შეგვეძლოს გაჩერება.

ეს მე ჩვენმა უწმინდესმა მასწავლა... მისგან ვისწავლე გულით სმენა და გულით დანახვა; მან მასწავლა, რომ ადამიანმა უნდა განივითაროს ყურისგდების უნარი და გულის სიღრმეში სიშორიდან სიახლოვის გზები უნდა მოძებნოს.

მისგან ვისწავლე, რომ ამ სიცოცხლეში ყველაზე დიდი სიხარულია ღამის იდუმალებით განმსქვალვა, ღამის მოლოდინით სისავსე, ღვთის წინაშე ლოცვად წარდგომა ღამის სიჩუმეში; ამ დროს მშვენიერება მთელი სისრულით არის გახსნილი შენ წინაშე, შენ შენი სამყოფი წილით ჩაისუნთქავ მას და შემოვა შენში ეს საოცრება, რომელიც გამზადებს ცისკარზე ჩუმი ნათელით აღმობრწყინებულ მზესთან შესახვედრად.

ამ სიხარულით სავსე წამი მაახლოებს ყველაზე მეტად ჩვენს უწმინდესთან...

სადა ვართ?! რატომ ვაუცხოებთ ამ სამყაროს ჩვენგან ? რატომ უარვყოფთ გულს, ამ მიწის გულს, რომელმაც ჩვენი სხეული უნდა ჩაიკრას, დედის გულს, რომელიც ჩვენი სიხარულით ხარობს, ერთმანეთის გულს, რომელიც უზომოდ გვაძლიერებს, ჩვენს საკუთარ გულს; გული ხომ სიყვარულისა და სიხარულის ადგილია, ნამდვილი სიცოცხლის ადგილია, სადაც ვერთიანდებით ჭეშმარიტი ერთობით, სადაც ღმერთს უნდა მივეახლოთ ადამიანები.

რატომ უარვყოფთ გულს, რატომ წარმოვთქვამთ სიტყვას ასე უგულოდ და ასე უგულოდ რატომ ვსაუბრობთ? საიდან გაჩნდა ჩვენში იმგვარი მზერა, რომ სპობს და ფერფლად აქცევს, შხამავს და აკვდინებს ირგვლივ ყოველივეს.

გული უზომოდ გატკინეთ, ჩვენო უწმინდესო ...

სადა ვართ?! ხომ არ ვემალებით საკუთარ სინ-

საპატრიარქოს ხუცესანი

სტუმარ-მასპინძლობით, სხვადასხვა კულტურის და რელიგიის შემწყნარებლობით და, ამავდროულად, საკუთარი ტრადიციების დაფასებითა და ერთგულებით.

შეხვედრას მოგვიანებით შეუერთდა ამიერკავკასიის მუსლიმთა სულიერი ლიდერის წარმომადგენელი საქართველოში ალი ალიევი.

მისმა უწმინდესობამ საფრანგეთის ელჩს წარუდგინა ალი ალიევი და ხაზი გაუსვა იმ მეგობრულ ურთიერთობებს, რაც რელიგიური სხვაობის მიუხედავად ჩვენს ხალხებს შორის არსებობს.

დასასრულს მხარეთა მიერ დაახლოების და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი გამოითქვა.

ხელდასხმა

21 ნოემბერს, ქ. ქუთაისის მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა **დიაკვნად ლაშა ბოდოკიას და სახელად მიქაელი** უწოდა.

დიაკონი მიქაელ ბოდოკია მსახურებისთვის დაინიშნა ქ. ქუთაისის წმინდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის ეკლესიაში.

***

24 ნოემბერს, ქ. ქუთაისის ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. საკათედრო ტაძარში, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა **მღვდლად დიაკონ გიორგი სვანიძეს**.

მღვდელი გიორგი სვანიძე დაინიშნა მღვდელმსახურად ქ. ქუთაისის წმინდა ლაზარეს აღდგინების სახ. დედათა მონასტერში.

***

1 დეკემბერს, ქ. ქუთაისის ბაგრატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი) ხელი დაასხა **დიაკვნად დიმიტრი ხახალეიშვილს.**

დიაკონი დიმიტრი ხახალეიშვილი ქ. ქუთაისის წმინდა ახალმოწამეთა სახელობის ეკლესიაში იმსახურებს.

***

13 ოქტომბერს ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის საკათედრო ტაძარში ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ **მღვდლად აკურთხა დიაკონი გიორგი (მამარდაშვილი).**

***

15 ოქტომბერს ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტმა სტეფანემ ცაგერის რაიონის **სოფელ აღვში წმ. დავით და კონსტანტინეს სახელობის ტაძარი აკურთხა.**

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მორიგი სამუშაო შეხვედრა

2 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. სამსახურის საქმიანობის კონკრეტული მიმართულებების ეფექტიანად ფუნქციონერებისა და დასახული ამოცანების განხილვის მიზნით, შეხვედრაზე იმსჯელეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე. კერძოდ:

• თანამედროვე სამყაროში, ინფორმაციის მოპოვების გამარტივების მიუხედავად, საზოგადოებაში საღვთისმეტყველო საკითხების თაობაზე მაინც ცოტა ადამიანი ფლობს სათანადო ცოდნას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ეკლესიამ აქტიურად იმუშაოს ამ მიმართულებით. გადაწყდა, დაიგეგმოს საღვთისმეტყველო თემატიკის შესახებ საჯარო შეხვედრების გამართვა როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთათვის.

• სამსახურის წევრებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია მომავალ თაობასთან მჭიდრო ურთიერთობის ჩამოყალიბება და ხშირი კომუნიკაცია. ამისთვის კარგი იქნება მათთან ცალკეული შეხვედრების, საუბრების, ლექციების ჩატარება. აქედან გამომდინარე, დაიგეგმა სასულიერო პირების მიერ მოსწავლე-ახალგაზრდებთან შეხვედრების განრიგის ჩამოყალიბება, მათთვის გასაგებ ენაზე სასაუბრო თემატიკის შედგენა-შემუშავება და სამსახურის მომავალ შეხვედრაზე წარმოდგენა.

• ბოლო პერიოდში „გირჩის" რელიგიური ორგანიზაციის წევრები ძალიან ხშირად მიმართავენ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას (სხვადასხვა სასულიერო პირს), სინანულს გამოხატავენ და ეკლესიის წიაღში დაბრუნება სურთ. აღნიშნული თემისადმი საზოგადოების დაინტერესებიდან და აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყდა, ამ საკითხის შესახებ არსებული მასალების მომზადება წმინდა სინოდის სხდომაზე წარსადგენად.

• შეხვედრის დასასრულს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) გამოთქვა მოსაზრება, უახლოეს მომავალში შეიქმნას სადისკუსიო ცენტრი, სადაც სასულიერო თუ საერო პირები საღვთისმეტყველო თემებზე ისაუბრებენ.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ფართოვდება, მისი ახალი წევრები ახალ მიმართულებებს გაუძღვებიან და აქტიურად ჩაერთვებიან სამსახურის საქმიანობაში.

მიღებას ასევე ესწრებოდნენ ცნობილი აფხაზი მეცნიერის – ფერიდე აცანბას ოჯახის წევრები, სოფელ ფერიის სკოლის დირექტორი, ამავე სკოლის აფხაზი მოსწავლეები და სხვა პირები.

შეხვედრაზე ითქვა თუ როგორი დიდია მისი უწმინდესობის როლი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დათბობასა და სახალხო დიპლომატიის გააქტიურებაში. აღინიშნა ისიც, რომ პროექტის, – „უფრო ახლოს ერთმანეთთან" მიზანია, ქართველი და აფხაზი საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრების გააქტიურება, ნდობის აღდგენის, შერიგების და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, ასევე ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერა.

ლონისძიებაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიაში მცხოვრებმა ქართველმა და აფხაზმა ახალგაზრდებმა აფხაზურ ენაზე ლიტერატურული პერფორმანსი წარმოადგინეს და შეასრულეს აფხაზური ფოლკლორული სიმღერები. მოსწავლეებმა ქართულად და აფხაზურად წაიკითხეს ფრაგმენტები ,,ვეფხისტყაოსნიდან" და ნოდარ დუმბაძის ,,მარადისობის კანონიდან".

მისმა უწმინდესობამ დალოცა სტუმრები და ბრძანა:

„ჩვენ ვცხოვრობთ რთულ დროს, ამიტომ ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთმანეთის. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისგან. დალოცვილი იყავით და გაიხარეთ. ბედნიერი შობა-ახალი წელი გქონდეთ თქვენ და საქართველოს და მსოფლიოს!"

დაჯილდოება

19 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, **მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე)** ეკლესიაში ერთგული მსახურებისთვის არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა სოფ. ზედა საქარის წმ. გიორგის სახ. მამათა მონასტრის წინამძღვარი, **იღუმენი ადამ (იმნაძე)**, ხოლო ზესტაფონის წმ. გიორგის სახ. ეკლესიის მღვდელმსახური, **მღვდელი ნიკოლოზ კაპანაძე,** აყვანილი იქნა დეკანოზის ხარისხში ოქროს ჯვრის ტარების უფლებით.

სამძიმარი

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სოფელ დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიის დეკანოზი ნიკოლოზ ჩხიკვაძე. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოს ახლად შესვენებული **დეკანოზი ნიკოლოზი.**

***

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი - **რეზო ხუხუა** და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად **შესვენებული რევაზი.**

***

საპატრიარქოს პრესცენტრი მწუხარებით იუწყება, რომ საპატრიარქოს თანამშრომელს ნინო პატარიძეს გარდაეცვალა მამა - **ომარ პატარიძე** და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს. მკითხველს ვთხოვთ, ლოცვებში მოიხსენიოთ ახლად შესვენებული ომარი

გიორგობა კახში

22 ნოემბერს, განჯაში საქართველოს გენერალური კონსული ბ-ნი ნიკოლოზ იაშვილი და ვიცე-კონსული ბ-ნი თეიმურაზ სანაძე კახის რაიონის ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად გიორგობის დღესასწაულის მისალოცად, კახის რაიონის სოფელ კახინგილოს 28-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს და პედაგოგებს ესტუმრნენ. მილოცვასთან ერთად ქართველმა დიპლომატებმა საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ჰუმანიტარული დახმარება გადასცეს. ბავშვებმა წაიკითხეს ლექსები, შეასრულეს ქართული სიმღერები, წარმოადგინეს საცეკვაო კომპოზიცია. შეხვედრამ ჩაიარა მხიარულ, თბილ, სადღესასწაულო ვითარებაში.

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ისტორიულ ქართულ კუთხეში - საინგილოში ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (კაპანაძე) წირვა აღასრულა კახის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში, რომელსაც ადგილობრივ და სტუმრად ჩასულ მომლოცველებთან ერთად საქართველოს გენერალური კონსული, ბ-ნი ნიკოლოზ იაშვილი და ვიცე-კონსული, ბ-ნი თეიმურაზ სანაძე ესწრებოდნენ. საღვთო ლიტურგიის შემდეგ მეუფე დიმიტრი სხვა სასულიერო პირებთან, მგალობლებთან და მრევლთან ერთად ქურმუხის წმინდა